პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 29-ე წელი

კვირა, 22 მაისი, 1949 წ. № 101 (8404). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

საკურორტო სეზონის წინ—მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
სამგორის სახალხო მშენებლობა (მე-2 გვერდი).
სამტრედიის აბრეშუმის ქარხანა ფაბრიკა ნახევარი საუკუნისაა (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ყოველმხრივ მომზადებული შეეხვედეთ საკურორტო სეზონს (მე-3 გვერდი).
ვ. გუგუნავა — ახალი ამოცანების წინაშე (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

საკურორტო სეზონის წინ

მალე ჩვენი რესპუბლიკის კურორტების კარი ფართოდ გაიღება დამსვენებელთათვის. საკურორტო სეზონი იწყება. როგორ ხვდებიან მას საქართველოს კურორტები? შეიძლება ითქვას, რომ შარშანდელთან შედარებით ჩვენი კურორტები წლევანდელ სეზონს უფრო ორგანიზებულად, უფრო მომზადებულად ხვდებიან. ეს გასაგებიც არის.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი განუწყვეტელ ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობისათვის, მათი შრომისა და დასვენების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ყოველწლიურად ათეულ მილიონობით მანეთი იხარჯება საკურორტო მეურნეობის განსავითარებლად, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის გასაფართოებლად. ამაზე მეტყველებენ კონკრეტული ფაქტები. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მარტო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით კურორტთა კეთილმოწყობაზე 65 მილიონი მანეთი დაიხარჯა. არანაკლები თანხები იხარჯება საუწყებო სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობისა და კეთილმოწყობაზე. პარტია და მთავრობა ჩვენი საკურორტო დარგის მუშაკებისაგან მოითხოვენ გონივრულად გამოიყენონ სახელმწიფო სახსრები მშრომელთა ჯანმრთელობის კერების გასაუმჯობესებლად, საბჭოთა ადამიანების საუკეთესო მკურნალობისა და დასვენებისათვის ყოველგვარი პირობების შესაქმნელად.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს ბოლშევიკების XIV კონგრესზე თქვა: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი კურორტების კეთილმოწყობას, რომლებიც ჯანმრთელობის კერას წარმოადგენენ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის. თუმცა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რაოდენობამ და მათში ადგილების რიცხვმა ომამდელი წლების მაჩვენებლებს დაგაჯაჭირა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ უწევენ მომსახურებას ყველა მსურველს. უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა ჯანმრთელობის აღსადგენად ჩვენი კურორტების ყველა სამკურნალო ფაქტორის — მინერალური წყლების, ძთისა და ზღვის ჰაერის, მზის სხივების მოქმედების სრულად გამოყენება".

სწორედ ამ მითითებებმა განსაზღვრეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საკურორტო მეურნეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანები უახლოესი პერიოდისათვის. როგორც „კომუნისტის" მკითხველები ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალებით გაეცნობიან, ჩატარებულია სერიოზული მუშაობა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების სეზონისათვის მოსამზადებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთსა და აჭარაში, კურორტთა ბორჯომის ჯგუფში, ავრეთვე ზოგიერთი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტთა მოსაწყობად გაწეული მუშაობა.

მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, საკურორტო სეზონისათვის მზადებაში ნაკლოვანებებსაც გხვდებით. კურორტი სჩერი, რომელიც ცნობილია თავისი სამკურნალო მინერალური წყლებით, ჯერაც არ არის კეთილმოწყობილი: ისევდაც მცირე აბაზანები მოთავსებულია პატარა და ძველ შენობაში, მოუწყობელია საცხოვრებელი სახლები დამსვენებელთათვის, საკმაო რაოდენობით არ არის სკამები, მაგიდები, მივიწყებულია დამსვენებელთა კულტურული მომსახურება, დღემდე ელექტროგანათებაზე არავის უფიქრია, მოუწყობელია რადიო, ბიბლიოთეკა და სხვ. მივიწყებულია აგრეთვე ანაკლიის ბავშვთა საერთაშორისო სანატორიუმი. აქ ბავშვთა დასვენებისათვის პირობები არაა შექმნილი, ნაგებობათა მხოლოდ 30 პროცენტი ძლივს აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მოუწყობელია კლუბი და საქმითხელო, არ არის რადიო. ბორჯომის ზოგიერთ სანატორიუმში რემონტი ისე ჭიანურდება, რომ საეჭვოა მისი დამთავრება სეზონის დაწყებამდე.

აქედან საჭირო დასკვნები უნდა გაკეთდნენ ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და საკურორტო მეურნეობის მუშაკებმა. გარდა იმისა, რომ ახლაე მიღებულ უნდა იქნას გადაწყვეტი ზემაში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რემონტის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად, საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს სანატორიუმების დაკომპლექტებას სპეციალისტებითა და სხვა კადრებით, სამკურნალო კაბინეტების მოწყობას და სხვ.

წელს დიდი მოთხოვნები აქვს წაყენებული „საკურორტეაპრობას". როგორც ცნობილია, შარშან „კურორტეაპრობის" ადგილობრივ ორგანოებს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდათ. ამ ნაკლოვანებიდან მთავარი ის იყო, რომ სეზონის შესაფერი ასორტიმენტებით არ ამარაგებდნენ მაღაზიებს, ფარდულებსა და კიოსკებს. იშვიათი რიდი იყო შემთხვევა, როდესაც. მაგალითად, ბაგრასა და ქობულეთში, მწვანე კონცხსა და ახალ ათონში „კურორტეაპრობის" კიოსკებსა და ფარდულებში არ ჰქონდათ სამკურნალო, მამაგრილებელი წყლები, ნაყინი, ხოლო სამრეწველო საქონლით მოვაჭრე მაღაზიებში არ მოიპოვებოდა სეზონის შესაფერი ტანსაცმელი. ამასთან „კურორტეაპრობის" რესტორანებსა და სასადილოებში უწესრიგობის, ფასების დამახინჯებისა და მომხმარებლებისადმი უდიერად მოპყრობის ძრავალი ფაქტიც იყო. ყოველივე აღნიშნული კარგად უნდა გითვალისწინონ „საკურორტეაპრობის" ხელმძღვანელმა მუშაკებმა და ახლაე მიიღონ საჭირო ზომები, რომ საკურორტო სეზონს მათი ქსელი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს.

ჩვენს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში კვების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, აუცილებელია სერიოზული ყურადღება მიექცეს დამსვენებელთა კულტურული მომსახურების სანიმუშოდ დაყენებას. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ადამიანებს შევარჩევთ კულტმუშაკებად, ვის ჩავაბარებთ ამ მეტად საპატიო საქმის ხელმძღვანელობას. მიზნობრივი ექსკურსიების მოწყობა, შერჩეული კინოფილმების ჩვენება, პოლიტიკურ და მეცნიერულ თემებზე ლექციების ჩატარება, საესტრადო კონცერტების მაღალმხატვრულ დონეზე მოწყობა, ბიბლიოთეკების უზრუნველყოფა საუკეთესო მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურით, რადიოქსელის სანიმუშო მუშაობა — ყველაფერი ეს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, მათი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უნარიან, ინიციატივიან და მოფიქრებულ მუშაობაზეა დამოკიდებული. ამ საქმეში დიდი მოვალეობა აკისრიათ აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკურ ორგანიზაციებს: საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას, საქართველოს ფილარმონიას, „კინოპროკატის" საქართველოს კანტორას და სხვ.

მომდინარე წელს საკურორტო სეზონის წარმატებით ჩატარება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საკურორტო მეურნეობის, პროფკავშირთა და ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკთა ღირსების საქმეა.

შეეგმნათ ყოველგვარი პირობები მშრომელთა სანიმუშო მკურნალობისა და დასვენებისათვის ჩვენს კურორტებზე — ასეთია ამოცანა.

თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თესვის გეგმა

თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 20 მაისისათვის 101,8 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა.

სიმინდის, თავთავიანი კულტურების, კარტოფილის, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესვის გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული. თესვა გრძელდება.

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შეასრულეს საანეულო ხვნის გეგმა

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 20 მაისისათვის 105,3 პროცენტით შეასრულეს საანეული ხვნის გეგმა.

საბჭოთა კავშირში

★ ★ ★ ★

აზერბაიჯანულ ენაზე გამოიცა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა VI ტომი

ბაკო, 18 მაისი. (საკდესი). გამოვიდა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა VI ტომი, რომელიც აზერბაიჯანულ ენაზე გამოსაცემად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა.

ვ. ი. ლენინის წიგნი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" თურქმენულ ენაზე

აშხაბადი, 18 მაისი. (საკდესი). თურქმენეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ თურქმენულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის წიგნი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია".

საბჭოთა კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებნი ა. ს. პუშკინის ფექსტებზე

საბჭოთა კომპოზიტორების კავშირში შედგა პუშკინის საიუბილეო კომისიის შეხვედრა სხდომა.

მოსმენილ იქნა კომპოზიტორების დ. არაყიშვილის, ვ. კალმანოვსკის, ტ. პოლატნკოს, ა. ტიტოვისა და ვ. რომის ახალი ვოკალური ნაწარმოებნი, რომლებიც დაწერილია ა. ს. პუშკინის ლექსების ტექსტებზე.

შედეგ მოხდა მოსმენილ ნაწარმოებთა განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომპოზიტორებმა გ. პოლიანოვსკიმ, ვ. კრიეკკომა, კ. ნოვიკოვმა და სხვა კომპოზიტორებმა და მუსიკათმცოდნეებმა. (საკდესი).

გრიგოლ ნოვაკის ახალი მსოფლიო რეკორდი

ვორონეჟი, (საკდესი). დამთავრდა ქვეყნიერი წონის ძალოსანთა შეჯიბრება.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა გრიგოლ ნოვაკმა კვლავ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა სამჭიდში; მან 422,5 კილოგრამი მოაგროვა. შეჯიბრების პროცესში მან ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა ორივე ხელით აჭიმვაში. თვითონ ნოვაკი 82,5 კილოგრამს იწონის, მან აჭიმა 142,5 კილოგრამი შტანგა, რაც 0,5 კილოგრამით აღემატება მის მიერ წინათ დამყარებულ მსოფლიო და სრულიად საკავშირო რეკორდს.

ჩაის კრანფაციები კავკასიის მთის კალთების რაიონებში

კისლოვოდსკი, 18 მაისი. (საკდესი). კავკასიის მთის კალთების რაიონებში პირველად შენდება ჩაის საცდელი პლანტაციები. ჩაის ბუჩქებმა კარგად გაიხარეს ზელენჩუკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში. შარშან დარგულმა ბუჩქებმა 10-12 სანტიმეტრ სიმაღლეს მიაღწიეს. ახლა ამ კოლმეურნეობაში გაშენებულია ჩაის ახალი პლანტაცია ნახევარ ჰექტარზე. ჩაის საცდელი გაშენება წარმოებს აგრეთვე ბეშტაუს მთის რაიონში.

მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო მოღვაწეობის კოორდინაციის საბჭოს სესია

19 მაისს დამთავრდა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო მოღვაწეობის კოორდინაციის საბჭოს მეხუთე სესია, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა.

მოსმენილ იქნა უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ლატვის, ლატვიისა და ესტონეთის სსრ რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელთა 10 მოხსენება.

სესიაზე მოსმენილმა მოხსენებებმა ცხადყვეს მკაფიო საფუძველი მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მუშაობისა, რაც ჩვენი ქვეყნის მეცნიერებმა 1948 წელს გააწიეს. მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის საზალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნის ი. ნ. ვეკუას მოხსენებამ, რომელმაც დაახასიათა საქართველოს მეცნიერთა 1948 წლის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა 536 პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობდნენ. დიდი მიღწევებია მოპოვებული მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა მათემატიკა, ასტრონომია, ფიზიოლოგია, გეოლოგია, მინერალოგია, ბოტანიკა, ისტორია, ლინგვისტიკა, ფილოსოფია. საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნარეკვნახულის შერჩევას ნათესებისაზრისი თესლბრეწისათვის, მუშაობას კახური დატტული ხორბლის ავრობტექნიკასა და სელექციაში. მიჩურინისა და ლისენკოს მეთოდების გამოყენების საფუძველზე მეკვნახეობისა და მეკვიდრეობის ინსტიტუტმა ვაზის ახალი ძეფრფასი ჯიშები შექმნა. ენერგეტიკის ინსტიტუტმა დაამთავრა კაპიტალური ნაშრომი „საქართველოს სსრ ენერგეტიკის განვითარების მეცნიერული საფუძვლები". ისტორიის ინსტიტუტში აქმნება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი.

ი. ნ. ვეკუას მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა ს. ი. ვავილოვმა, წევრმა-კორესპონდენტებმა გ. ა. გამხურეშვილმა, ს. ვ. ობჩინნიმ და სხვებმა.

შემდეგ მოსმენილ იქნა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ვ. ა. ამბარცუმიანის მოხსენება. მან აღნიშნა დიდი მიღწევები, რომელიც აქვთ ასტრონომებს. მათ აღმოაჩინეს სრულიად ახალი ტიპის ვარსკვლავთა სისტემები, ეგრეთწოდებული ვარსკვლავთა ასოციაციები. ამ სისტემების შესწავლას შედეგად მოაკვეთა ვარსკვლავთა ჯგუფური წარმოშობის თეორიის შექმნა, რომელიც მნათობთა ევოლუციის ახალ ახსნას იძლევა. მომხსენებელი შეჩერდა გენეტიკის, მეცხოველეობის, შეღებნეობისა და შეეკნახეობის ინსტიტუტთა მუშაობაზე. ილაპარაკა სომხეთის არქეოლოგიაც მიღწევებზე. შემქმნელია მთელი რიგი საინტერესო ნაშრომები სომხეთის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის დარგში. სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია ბევრ გამოკვლევას საქართველოსა და აზერბაიჯანის მეცნიერთა კოლექტივებთან ერთად აწარმოებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ტ. ა. სარიმსაყოვის მოხსენებამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1948 წელს აკადემიის ნაშრომთა დიდი უმრავლესობა დაკავშირებული იყო პირველ რიგში სახალხო მეურნეობის ისეთი პრობლემების გადაწყვეტასთან, როგორიცაა ბამბის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა.

შემდეგ მოხსენება წაიკითხა ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა აკადემიის აკადემიკოსმა-მდივანმა ი. გ. გალეზოვმ. მან ილაპარაკა ყაზახეთის მეცნიერთა სამეცნიერო მოღვაწეობის სწრაფ განვითარებაზე. რესპუბლიკაში შექმნილია ახალი სამეცნიერო დაწესებულებანი — სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი, სირ-დარიის საკვლევი ბაზა და სხვ.

პრეზიდენტების — ი. ი. მატეესოსის (ლატვის სსრ), ჰ. ა. ლეონიშის (ლატვიის სსრ) და ნ. ხ. კრუფსის (ესტონეთის სსრ) მოხსენებებმა ცხადყვეს, რომ ბალტიისპირეთის მეცნიერთა სამეცნიერო მოღვაწეობა სულ უფრო ფართოდდება და მკიდროდ უახლოვდება ამ რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული ზრდის ამოცანებს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში ნაციონალური სამეცნიერო კადრების მომზადების შესახებ მოხსენება წაიკითხა წევრკორესპონდენტმა ვ. ს. ნიკიტინმა. მოსმენილ იქნა აგრეთვე ინფორმაციები დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემაში მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების მონაწილეობის შესახებ, ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის ჩატარების შესახებ და სხვ.

სესიის დასასრულს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ს. ი. ვავილოვმა აღნიშნა, რომ მოსმენილი ანგარიშები მოწმობენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა მიერ მოპოვებულ დიდ წარმატებებს.

— სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებთან ერთად, — თქვა მან, — ხდება ერთიან სამეცნიერო ორგანიზმად, რომელსაც მძლავრი ძალები გააჩნია ამბანაგ ი. ვ. სტალინის მიერ მეცნიერების მოღვაწეთა წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად. (საკდესი).

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

1949 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შედეგთა შესახებ

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ განიხილა 1949 წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების საკითხი და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებათა დადება მოხდა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების აქტიური მონაწილეობით.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების პერიოდში გაწეულმა მასობრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ ხელი შეუწყო საწარმოების ნაკლოვანებათა კრიტიკის ფართოდ განვითარებას და გამოიწვია წლიური გეგმისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობა.

სულ 1949 წელს დაიდო 46 ათასი კოლექტიური ხელშეკრულება.

კრებებსა და კონფერენციებში, რომლებმაც კოლექტიურ ხელშეკრულებათა პროექტები განიხილეს, მონაწილეობა მიიღო მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 85-90 პროცენტმა. შეტანილია ერთ მილიონამდე წინადადება. შეტანილ წინადადებათა საერთო რაოდენობის 71 პროცენტზე მეტი საწარმოთა ადმინისტრაციამ განსახორციელებლად მიიღო.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს მოაწყონ საწარმოებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების სისტემატური კონტროლი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ვალდებულებათა შესრულებას, სამენი მასალით, სატრანსპორტო სამუშაებებითა და მუშახელით ამ მშენებლობის უზრუნველყოფას; რეგულარულად განიხილონ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხები, მოსთხოვონ საწარმოთა ხელმძღვანელებს, რომ მათ აუცილებლად დაწესებულ ვადებში შეასრულონ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ საწარმოებში დროულად ეწყობოდეს კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების ყოველკვარტალური მასობრივი შემოწმება. (საკდესი).

სულეიმან სტალსკის დაბადების 80 წლისთავის გამო

მაჯარ-ყალა. (საკდესი). 18 მაისს 80 წელი შესრულდა დაღისტნის სახალხო პოეტ სულეიმან სტალსკის დაბადებიდან.

ამ დღეებში ბევრი მნიშვნელი ეწვია პოეტის სამშობლოში აულ ამაღა-სტალში გამართულ სახლ-მუზეუმს. მასწავლებლები, კოლმეურნეები, პოეტის შვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძირზა სტალსკი, პოეტის მეუღლე ანნა მოუთხრობენ ხალხს აშუღის ცხოვრებას. მრავალი ექსკურსია იყო დაღისტნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც მოწყობილია პოეტისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. სტენდზე არის სურათები: მეხიელ იავანეს-ძე კალინინი ლენინის ორდენს გადასცემს სტალსკის, მაქსიმ გორკი და სულეიმან სტალსკი მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე და ბევრი სხვა ფოტოდოკუმენტი და სურათი.

დაღისტნის ყველა ხალხთა ენაზე გამოცემული პოეტის წიგნებია და სტალსკის შესახებ ლიტერატურის გამოფენა მოაწყო პუშკინის სახელობის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ. ამფოსადმი მიძღვნილი გამოფენები გაიხსნა აგრეთვე პარტკაბინეტებში, სამკითხველოებში, კულტურის სახლებში. დაღისტნის გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა სულეიმან სტალსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. შედგება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღისტნის ბაზის სამეცნიერო სხდომა, მიძღვნილი პოეტისადმი. დაღისტნის დედაქალაქ მაჰაჩ-ყალაში და პოეტის სამშობლოში აულ ამაღა-სტალში გაიმართა საზეიმო კრებები.

ოდესის ოლქში ჭვავმა თავთავი გაიკეთა

ოდესა, 18 მაისი. (საკდესი). ოდესის ოლქის სამხრეთი რაიონების კოლმეურნეობებში ჭვავმა თავთავი გაიკეთა, სამშვილდგომი ხორბალი ამოღერდა. მემინდვრეობის ათასობით ბრიგადა და რგოლი განთიადიდან დაღამებამდე წმენდს ნათესს სარეველა ბალახებისაგან.

ოლქის 1.000-ზე მეტმა კოლმეურნეობამ დაამთავრა მარცვლეული კულტურების მარგვლა და ამჟამად საოხნი კულტურების მწკრივთაშორის დამუშავებას ეწევა.

„ხერკინა" აზერბაიჯანში

ბაკო, 18 მაისი. (საკდესი). აზერბაიჯანის სუბტროპიკულ ტყეებში ხარობს უიშვიათესი მცენარე „ხერკინა". ტალიშის მთების ტყეები ერთადერთი ადგილია, სადაც უძველესი ჯიშის ეს მცენარე იზრდება. მისი მერქანი სმაკვრივით დიდად არ ჩამორჩება ლიმონს და საფეიერო მანქანებისა და საზღვაო გემების ზოგიერთ დეტალისათვის „ხერკინა" ცვლის ლიმონს.

დღემდე ფიქრობდნენ, რომ „ხერკინა" ამოწყდომის გზაზე მყოფ მცენარეთა ჯიშს ეკუთვნის. ეს აზრი გაუბათილა ახალგაზრდა აზერბაიჯანელმა მიჩურინელმა მეცნიერმა იბრაჰიმ საფაროვმა. რამდენიმე წლის განმავლობაში მან შეისწავლა „ხერკინა" და გამოიკვლია, რომ იგი ჩინებულად ძრავდება და შეიძლება გავრცელდეს ტალიშის სუბტროპიკების ფარგლებს გარეთაც — აზერბაიჯანის ჩრდილოეთ რაიონებში.

სოციალისტური შრომის გმირები



ა. ნ. კიკილაშვილი

სიღნაღის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 29,6 ცენტნერი „ტრაპეზონის" ჯიშის თამბაქოს მოღებისათვის.

ვ. მ. კაკაძია

პარტიის სიხუმის რაიონული კომიტეტის მდივანი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში თამბაქოს მოსავლის გეგმის 40,5 პროცენტით გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

ი. კ. აფაკიძე

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის" ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 34,2 ცენტნერი „ტრაპეზონის" ჯიშის თამბაქოს მოღებისათვის.

ა. ვ. ლომაძე

ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 33 ცენტნერი „ტრაპეზონის" ჯიშის თამბაქოს მოღებისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი 1948 წლის 24 აპრილისა და 2 ივნისის ბრძანებულებათა შესაბამიად, **სიმონდის, შაქრის ჭარხლისა და თამბაქოს** უხვი მოსავლისა მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა ახის ააოაფლო-ამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარება და კოტრაქტაცია, ნატურანაზღაურება მტს-ების 1948 წლის მუშაობისათვის და მთლიანად უზრუნველყოფა 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნნ:**

მედლით „ზრომითი მამაცობისათვის“

175. **მაჭარაშვილი** აგრაფინა იორამის ასული—ლაგოდეხის რაიონის ძერეინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

176. **მგელაძე** აიშე მევლუდის ასული—ქედის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

177. **მელქონიანი** პეკრეი კირკორის ასული—სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ედაზის“ წევრი.

178. **მეფარიშვილი** ლიდა რაჟდენის ასული—გაგრის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

179. **მერაბიშვილი** მაყვალა ზაქარიას ასული—გორის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

180. **მერკულოვა** მარიამ სიმონის ასული—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ მერგოლური.

181. **მეხრალიევი** მეხრალი ჰუსეინ ოღლი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ ბრიგადირი.

182. **მიქაელიანი** ერანოს ხაჩიკის-ძე—ბოლნისის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

183. **მიხეილიძე** დიმიტრი თომას-ძე—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ ბრიგადირი.

184. **მიხეილიძე** ვალენტინა არქიპოს ასული—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

185. **მოდებაძე** ნინო სიმონის ასული—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

186. **მსხალაძე** გულის ჰასანის ასული—ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „მე-18 პარტყრილობის“ წევრი.

187. **მუგადე** იბრაჰიმ ყიზი—მარნეულის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

188. **მუტიძე** შუგეიბ კიბარის-ძე — ხულოს რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

189. **მჭედლიშვილი** ნინო მიხეილის ასული—სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

190. **მჭედლიშვილი** ნინო თომას ასული—სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

191. **ნაკაშიძე** მერკან ალის-ძე — ხულოს რაიონის უჩამბის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

192. **ნასუაშვილი** ნადია კონსტანტინეს ასული—სტალინირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

193. **ნასუაშვილი** ლიზა მიხეილის ასული—სტალინირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

194. **ნარინდოშვილი** სიმონ ლევანის-ძე—სიღნაღის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

195. **ნორაკიძე** ალექსანდრე ნესტორის-ძე—ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

196. **ოდაბაშიანი** პეტროს ბოგოსის-ძე—სოხუმის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

197. **პარი** გოჯა ყიზი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

198. **პეკაძე** ენვერ ოსმანის-ძე—ხულოს რაიონის ოლოტოფის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

199. **პეტიკიანი** არტაჯაზდ ოჰანესის-ძე—ოჩამჩირის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

200. **პომპულ** იბრაჰიმ ყიზი—მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

201. **ფოთელიძე** შემედ სულეიმანის-ძე—ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ მერგოლური.

202. **ფრუიძე** შალვა ანტონის-ძე — გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

203. **ფრუიძე** გალაქტიონ ექვთიმეს-ძე—გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

204. **ფხოველიშვილი** ანა თევდორეს ასული—სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

205. **ფხოველიშვილი** მარიამ ზაქარიას ასული — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

206. **რაგიმლი** შამილ რაგიმ ოღლი—ბოლნისის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

207. **რეიმან** კიში ყიზი—მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

208. **რიგვავა** მარგო ალექსანდრეს ასული—ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალკახათის“ წევრი.

209. **რუსტამ** ფატმა ყიზი—ბოლნისის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

210. **საკაანი** ოპანეს არუთინის-ძე—ოჩამჩირის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

211. **საგინაძე** ხატიჯე არიფის ასული—ხულოს რაიონის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

212. **საგინაძე** ისრო ჰუსეინის-ძე — ხულოს რაიონის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

213. **სალია** ვიქტორ ძოკოს-ძე — ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის მტს-ის უფროსი მექანიკოსი.

214. **სამედ** იუსუფ ოღლი—მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

215. **სამხარაძე** ივლიტე სოლომონის ასული—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

216. **სანიკიძე** შოთა კალისტრატეს-ძე—ონოხარეთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლური.

217. **სვანიძე** სეგერიან ნიკოლოზის-ძე—გაგრის რაიონის განთიადის სასოფლო საბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

218. **სოფოიკაძე** გიორგი გიორგის-ძე—ხობის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

219. **სიემაშვილი** ივანე ლევანის-ძე—სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „გლეხის მაგალითის“ მერგოლური.

220. **სიფრაშვილი** აპრამ გიორგის-ძე—ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „მრომის“ წევრი.

221. **სირგინავა** ანდრო გაგლის-ძე — გაგრის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

222. **სოვარ** ასად ყიზი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

223. **სტრიჟაკოვა** ვალენტინა დიმიტრის ასული — ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის“ მერგოლური.

224. **სურმანიძე** ფიქრი ფეიზის ასული—ხულოს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

225. **ტაკიძე** დურსუნ იუნუსის-ძე — ხულოს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

226. **ტაკიძე** ხოშლე უზეირის ასული—ქედის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

227. **ტანგრიეფრდიევა** ნაზხანუმ სოიუნ ყიზი—ბოლნისის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

228. **ტყებუჩავა** სეგერიან კონსტანტინეს-ძე—ხობის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მეურნეს“ წევრი.

229, **ტუნტია** შოთა უშანგის-ძე — ხობის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

230. **თურმანიძე** იხსან აბმედის ასული—ხულოს რაიონის უჩამბის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

231. **თურმანიძე** რეჯებ ოსმანის-ძე — ხულოს რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

232. **ტუხაშვილი** ნინო დავითის ასული—ლაგოდეხის რაიონის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

233. **უმმათ** ტუკაიზბან ყიზი—ბოლნისის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

234. **ფატმა** აბას ყიზი—მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრი.

235. **ფუტკარაძე** ნურიფა ალის ასული—ხულოს რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

236. **ფუტკარაძე** შექერ ნურის ასული—ხულოს რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

237. **ხავილაშვილი** ანეტა კირილეს ასული—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

238. **ხავილაშვილი** ნინო ივლიანეს ასული—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

239. **ხალვაში** გული იუსუფის ასული — ხულოს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

240. **ხალვაში** სულო კურშემის-ძე—ხულოს რაიონის ნიხაძირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

241. **ხარბედია** გრამიტო ალექსანდრეს-ძე—გაგრის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების უბნის აგრონომი.

242. **ხარჩილავა** ლიდკო ნიჩუს ასული—ოჩამჩირის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

243. **ჰასა** აბმედ ყიზი—მარნეულის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

244. **ხვედელიძე** ბონდო იელიანეს-ძე — ხობის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

245. **ხვედელიძე** სერო კონსტანტინეს ასული—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

246. **ხვედელიძე** დარია ილიას ასული—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

247. **ხვედელიძე** ქეთევან გიორგის ასული—ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრი.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 91, 93, 95, 96, 97, 98, 99, 100.

გარდაბნის რაიონის კოლმეურნეები სამგორის სამუშაოებზე.

ფოტო რ. აკოფოვისა

სამგორის სახალხო მშენებლობა

ბოლნისელები არავის ჩამოჩრჩებიან

ზემო სამგორის მაგისტრალური არხის იმ უბანზე, სადაც ბოლნისის რაიონიდან ჩამოსული 650 კოლმეურნე მუშაობს, ორ ბოთს შუა ეეგბერთელა წითელი ტილოა გაკრული წარწერით:

— ბოლნისელები არავის ჩამოჩრჩებიან!

მართლაც ასეა. ისინი 19 მაისს ჩამოვიდნენ და ორი დღის განმავლობაში უკვე შეძლეს მაგისტრალური არხის ტრასისათვის დიდი კვალი დაეჩნიათ.

ბოლნისელ კოლმეურნეებთან ერიან მშრომელთა დეპუტატების ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მახმედ კული-ოღლი კულიევი, ბოლნისის მტს-ის უფროსის მოადგილე პოლიტანფლნში ალაი ნოვრუზოღლი, ინჟინერი პ. ხდაშელი, ექიმი ა. მარუაშვილი და სხვ. კოლმეურნეები ცდილობენ საქმე ისე მოაწყონ, რომ არხის გაყვანა მინდობილ უბანზე რაც შეიძლება მოკლე ხანში დაამთავრონ.

კოლმეურნეებმა მშვენივრად იციან, რომ სამგორის მშენებლობის დაჩქარება დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

—„სამგორი სახალხო მშენებლობაა. ყველა რაიონის კოლმეურნეობებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი სარწყავი სისტემის აგებაში!“. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მიერ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ნათქვამი ეს სიტყვები ბოლნისელმა კოლმეურნე მშენებლებმა საკუთარ სპრძოლო ამოცანად მიიღეს. მათ იკისრეს ზემო მაგისტრალური არხის გასაყვანად შეასრულონ 6.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო არა 10 დღეში, როგორც გეგმით არის გათვალისწინებული, არამედ ბევრად უფრო მოკლე დროში — 5-6 დღეში. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან კოლაგრელი და ამირასანელი, ფახრალელი და ხაჩინელი, დარბაზელი და ბოლნისელი კოლმეურნეები.

მშენებლობაზე ჩამოსულ კოლმეურნეთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჯერჯერობით საუკეთესო მაგალითებს იძლევიან სოფელ კოლაგრის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ წევრები, რომელთაც ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ისლამ ისაევი. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ მამედ აბდულა-ოღლი, ქიარამ ალექპერ-ოღლი, მამედ თალიბოვი და ალი ამირხან ალი-ოღლი.

ამ კოლმეურნეობასთან სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული სოფელ ტამრიკულარის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ა. მამედოვი ხელმძღვანელობს. ტამტიკულარელებმა გადაწყვიტეს ნაკისრი სამუშაოები 5 დღეში შეასრულონ.

ბოლნისელები სწრაფი ტემპით განაგრძობენ არხის გაყვანას. კიდევ ორიოდე დღე და სახალხო ვალმოხდილი კოლმეურნეები გამარჯვებულნი დაბრუნდებიან თავიანთ სოფლებში.

დ. ლომთაძე

სამეგრელოს აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა ნახევარი საუკუნისაა

საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის საწარმოთა შორის სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა ყველაზე უძველესი. ეს ფაბრიკა 1898 წელს აუშენებია ვინმე ლობაჩეკს, ხოლო ფაბრიკას აბრეშუმის ძაფის მოცემა დაუწყია 1899 წელს. ფაბრიკაში სეზონური მუშაობა იყო და ერთდროულად 250-მდე კაცი მუშაობდა.

ფაბრიკაში ამკამადაც არიან ისეთი მუშები, რომლებიც თავიდანვე აქ მუშაობენ. ძველი მუშები ბაბალე და გიორგი ხუჭუტები იმ დროინდელი ამბების მომსწრენი არიან. მუშებს მაშინ თავლის მსგავს შენობაში, ჭუჭყსა და სიღარიბეში უხდებოდათ ცხოვრება.

1902 წელს ბათუმის საწარმოთა მუშების პირველმა დიდმა გაფიცვამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი სტალინი, ფართო გამოხმაურება ჰპოვა სამტრედიელ მუშებს შორისაც. რამდენიმე წლის შემდეგ, 1906 წელს, ამ ფაბრიკის მუშებმა ადგილობრივ რკინიგზელებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დემონსტრაციაში და მეწარმეებს ახალი მოთხოვნები წაუყენეს. ამ ხანებში აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკა ლობაჩევმა იტალელ მეწარმეებს მიჰყიდა, ხოლო მუშათა რევოლუციური მოძრაობით შეშინებულმა იტალიელებმა მუშათა საერთო საცხოვრებელი გადასწვეს, ფაბრიკა დააზიანეს და თვითონ იტალიაში გადაიხვეწნენ.

მენშევიკების ბატონობის წლებში ფაბრიკისა და მისი კოლექტივის მდგომარეობა ოდნავაც არ გაუმჯობესებულა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხის კულტურულ-ეკონომიური აღორძინების ახალი ხანა დადგა. გამოცოცხლდა და განახლდა სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკაც. 1923 წელს მოხდა ამ ფაბრიკის რეკონსტრუქცია, ძველი დაზგები შეცვლილ იქნა ახლით, ფაბრიკის მახლობელი ჭობი სუბტროპიკულ ბაღნარად იქცა, მუშებისათვის აიგენ ახალი და კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი. ფაბრიკა მთელ რეპუბლიკაში ამ დარგის ერთ-ერთი მძლავრი საწარმოო გახდა.

ამკამად ფაბრიკის მრავალრიცხოვანი კოლექტივიდან 136 მუშა დაჯილდოებულია სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მუშაკის სამკერდე ნიშნით, ხოლო 52 მუშას მიღებული აქვს მედლები „კაკვასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“. ფაბრიკის კოლექტივის სამამყო ადამიანები არიან ორდენოსანი ნ. გაბელაია, ნ. ცინცაძე, ნ. ჯანაშია, ლ. ლოტბინა, ო. ტაბიძე და სხვები.

შარშან ფაბრიკამ დიდი წარმატებით შეასრულა წლიური საწარმოო დავალება და გეგმის დაჯამებენდან საგრძნობი რაოდენობის გრეკა დაამზადა, ამავე დროს დაზოგა 5 ტონა აბრეშუმის პარკი და მიაღწია 988.000 მანეთ ზეგეგმით დაგროვებას.

მიმდინარე წლისათვის ფაბრიკას გადიდებული გეგმა აქვს, მაგრამ მისი კოლექტივი ამ გეგმასაც გადაჭარბებით ასრულებს. ფაბრიკის 24 მოწინავე სტახანოველს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ამხანაგ ა. ნ. ჯოსიგინის ბრძანებით ჯილდოდ მიეცა სამკერდე ნიშანი—„მსუბუქი მრეწველობის წარჩინებული“.

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოა ფაბრიკის კოლექტივის შუამდგომლობა და ამ ფაბრიკას არსებობის 50 წლისთავის აღსანიშნავად მიაკუთვნა გამოჩენილი რევოლუციონერი მუშის გიორგი თელიას სახელი.

სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის 50 წლისთავი აეკალენ მის კოლექტივს იმეშოს უფრო უკეთესად, მისცეს სამშობლოს მეტი და საუკეთესო ხარისხის პროდუქცია.

ეგ. თავაძე

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოს უფროსი.

ჩაის ფოთლის კრეფა

20 მაისისათვის საქართველოში მოკრეფილია 825,5 ტონა ჩაის ფოთოლი. ამავე რიცხვისათვის შარშან მოკრეფილი იყო 220,3 ტონა.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის მაისის კრეფის გეგმა შესრულებულია 1 პროცენტით, ქობულეთის — 0,5, გალის — 15,5, ოჩამჩირის — 10.1, ფოთლეფშის — 84,2, სოხუმის — 8, გუდაუთის — 17,9, მახარაძის — 0,2, ლანჩხუთის — 3,3, სამტრედიის — 23,7, წულუკიძის — 33,3, ქუთაისის—36,1, წყალტუბოს — 42,1, ტყიბულის—0,6, ცხაკაიას — 12,8, აბაშის — 42,2, გეგეჭკორის — 14,4, ზუგდიდის — 10,4, წალენჯიხის — 5,4, ჩხოროწყუს — 9,9, ხობის — 11, ჩხარის — 151,3, ხოლო ზესტაფონის რაიონში — 82,5 პროცენტით.

ქობულეთისა და მახარაძის რაიონების ცნობები არასრულია.

პარტიული ცხოვრება

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ღია პარტიულ კრებაზე

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ღია პარტიულმა კრებამ, რომელიც ჩატარდა ამა წლის 18 მაისს, განიხილა გაზეთ „კომუნისტის“ 11 მაისის სარედაქციო წერილი — „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“.

მომხსენებელმა ამხ. დ. ლაშქარაძემ და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მკაცრად გააკრიტიკეს მთელი რიგი ტენდენციებისა და ისტორიკოლები, რომლებიც აყალბებენ ქართული ლიტერატურის ისტორიას და სახელს უტიხენ ჩვენი დიდი სამშობლოს კულტურას.

— გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო სტატია, — ამბობს დ. ლაშქარაძე, — ამხელს იმათ, ვინც თავისი „გამორჩევებით“ წყალს უშვებს ბურჟუაზიული მეცნიერების წისქვილს, ვინც დაკარგა პატრიოტიზმის დიადი გრძნობა. შემდეგ მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა კ. კეკელიძის, შ. ნუციფიძის, დ. კობიძის, ი. აბულაძის, კ. კაპანელის და ს. დანელიას მიერ დაშვებულ შეცდომებზე.

—მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის თანამშრომლებმა,—თქვა დასასრულ დ. ლაშქარაძემ, — მთელი ენერგიით უნდა იბრძოლონ ლიტერატურის ისტორიის ფალსიფიკატორებისა და ანტიპატრიოტების წინააღმდეგ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა — ა. ქუთელიამ, ა. კიკვიძემ, გ. მახარაშვილმა, ფ. ზავრიევმა, ა. ჟუხეტკოვმა, ი. მირცხულავამ და სხვებმა დაგმეს ლიტერატურის ისტორიის ფალსიფიკატორთა და ანტიპატრიოტთა მოქმედება.

— გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო სტატია, — ამბობს ამხ. ა. ქუთელია, — ძნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ნიღაბს ხდის ანტიპატრიოტებს, ყველა მათ, ვინც ჩირქს ცხებს ქართულ კულტურას. ეს სტატია დიდ ამოცანებს აყენებს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის წინაშე. ჩვენ უნდა შეეძლოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ისტორიის კონსპექტის შედგენა, რომელშიც სრულყოფილად იქნება ასახული დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლების როლი ჩვენი ქვეყნის განვითარების, მისი კულტურული აღმავლობის საქმეში, ჩვენმა მეცნიერმა მუშაკებმა უნდა დაწერონ საქართველოს სამოქალაქო ისტორიის წიგნი, სადაც მკაფიოდ იქნება ნაჩვენები ქართველი ხალხის პატრიოტიზმი, მისი მოწინავე მოღვაწეები, საქართველოს პრავალსაკუთნოვანი კულტურა.

— მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის თანამშრომლები,—აღნიშნა ამხ. ი. მირცხულავამ,—ლექციებს კითხულობენ უძველეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით ფილოსოფიის, ისტორიის და ლიტერატურის დარგში, მაგრამ დღემდე ისინი არადამაკმაყოფილებლად იბრძოდნენ ანტიპატრიოტიზმისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ. გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო სტატია ჩვენი ინსტიტუტის წინაშე სახავს საბრძოლო ამოცანებს. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ყველა ჯურის ანტიპატრიოტებს, საქართველოს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის გაყალბების ყოველგვარ ცდას.

დასასრულ ღია პარტიულმა კრებამ მიიღო დადგენილება.

ჩავაბათ ყველა კომუნისტი აქტიურ პარტიულ მუშაობაში

კომუნისტი ს. გოიაევი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. გოიაევმა ჩვეულებისამებრ ძაშინ გაიხსენა, როცა პარტიული კრება უდა ჩატარებულიყო, სახლში კაცი გაუგზავნა და შეუთვალა პარტიულ კრებაზე მოსულიყო. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ს. გოიაევი დაუგვიანებლივ გამოცხადდა. კრებაზე საკითხები ისე განიხილეს, რომ გოიაევს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ეს არ იყო პირველი შემთხვევა. პარტიული ორგანიზაციის მდივანი ყოველთვის ამჩნევენ ამას, მაგრამ არავითარ უხერხულობას არა გრძნობს. არც პარტიული დავალება აქვს მიცემული ს. გოიაევს.

— გოიაევი კოლმეურნეობის მეველეა, ფიზიზლად დარაჯობს სოფლის მამულს, ყველა კმაყოფილია მისი მუშაობით. რა ვუყოთ, რომ კრებაზე ლაპარაკი არ ეხერხება და პარტიული დავალება არა აქვს მიცემული,—ამბობს პარტორგანიზაციის მდივანი.

მდივანმა დაივიწყა, რომ კოლმეურნეობაში კომუნისტი კარგ მუშაობასთან ერთად აქტიურად უნდა მონაწილეობდეს პარტიულ ცხოვრებაში, რომ კომუნისტი ვალდებულია ასრულებდეს გარკვეულ პარტიულ დავალებას.

პარტორგანიზაციაში ფიქრობენ, რომ კომუნისტს ს. გოიაევისათვის პარტიული დავალების მიცემა ფორმალობა იქნება, რადგან მას სათანადო მომზადება არა აქვს ამისათვის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიულ მუშაობაში.

ამავე მიზეზით არა აქვთ პარტიული დავალებები კომუნისტებს გიორგი და რომან გოიაევებს, ვასილ ხუბულოვს და სხვებს.

პარტორგანიზაციას რომ სიძნელეებისათვის თავი არ აერიდებინა, ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე თვითდინებისათვის არ მიეხდო, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა დასახელებული კომუნისტებისათვის სათანადო პარტიული დავალება მიეცათ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ის კომუნისტებიც, რომლებსაც პარტიული დავალება აქვთ, სუსტად მონაწილეობენ პარტიულ ცხოვრებაში. მაგალითად, კოლმეურნეობის ვეტფერმალი კომუნისტი ნადია ელიაური კოლმეურნეობის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრია. ნ. ელიაური სუსტად მონაწილეობს კედლის გაზეთის მუშაობაში. პარტიული ორგანიზაციის არასაკმაო ყურადღებით აიხსნება ისიც, რომ კომუნისტი ნადია ელიაური ძალიან ცოტას მუშაობს პოლიტიკური ცოდნის შეძენისათვის; იგი არცევის სასოფლო საბჭოს ტერიტორიულ პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის მსმენელია, მაგრამ გასაბერების დროს მან პასუხი ვერ გასცა ელემენტარულ კითხვებზე. გაოცებადა, რომ უკანასკნელ თვეებში იგი სრულიად არ ეკითხულობს მხატვრულ ლიტერატურას. როგორც აღვნიშნეთ, კომუნისტი ნ. ელიაური ვეტფერშლად მუშაობს კოლმეურნეობაში. მინდობილი აქვს სერიოზული უბანი. არც ამ უბანზე მუშაობით უსახელებია თავი მას. მარტო ის ფაქტი, რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვის დღეებში კოლმეურნეობია 7 სული ხარი ისე იყო დასუსტებული, რომ სამუშაოდ მათი გამოყენება შეუძლებელი გახდა, მოწმობს ვეტფერმლის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას.

იმის ნაცვლად, რომ კომუნისტების საქმიანი მოსაუბროებით აქტიური დახმარება აღმოუჩინოს კოლეგურნეობას მის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში, პარტორგანიზაცია ამჯობინებს ადმინისტრაციული ხასიათის გადაწყვეტილებები მიიღოს. მაგალითად, 19 მარტს შემდეგი პარტიული კრების ოქმში (№ 6) ვკითხულობთ: „დაევალოს კოლმეურნეობის გამგეობას და მის თავმჯდომარეს, რათა 1949 წლის 25 მარტამდე შესასრულოს სახ.-სამ. პროდუქტების ჩაბარების სახ. გეგმა, როგორც კოლ-ბის, ისე კოლწევრების ან-მით“.

და თუ სტალინირის რაიონის სოფელ გოიათკაუს კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაცია დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს, ეს იიხსენება კომუნისტების შორის პოლიტიკური მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობით. ჩვენ ამის დამადასტურებელი ფაქტი ხელთაც დაგასახელეთ. კიდევ ერთი მაგალითი: კოლმეურნეობის თავმჯდომარე კონსტანტინე ხუბულავი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია. იგი ძალიან ცოტას მუშაობს პოლიტიკური ცოდნის შეძენისათვის; როცა შეეკითხეთ, თუ რა წიგნი წაიკითხა უკანასკნელ ხანებში მხატვრული ლიტერატურიდან, მან გაკვირვებით გვიპასუხა:

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოთხრობებისა და რომანების საკითხავად არ სცალია, გაზეთის წაკითხვასაც ვერ ვასწრებო.

თავმჯდომარემ დაივიწყა, რომ კოლმეურნეობის ბოლშევიკ ხელმძღვანელს ფეოდალ-ნინიზმით შეიარაღება შესაძლებლობას აძლევს უკეთესად გადაწყვიტოს კოლმეურნეობის წინაშე დასახული ამოცანები, წინ წასწოს საზოგადოებრივი მეურნეობა, მეტ წარმატებას მიაღწიოს მუშაობაში.

სოფელ გოიათკაუს კოლმეურნეობას შემოდგომის პურეულის 110 ჰექტარი უთესია, სიმინდი—80 ჰექტარი, კარტოფილი და ბოსტნეული—11 ჰექტარი, შაქრის ჭარხალი—20 ჰექტარი, აქვს 84 ჰექტარი ხეხილის ბაღი. ეს ციფრებიც მეტყველებენ იმ სეროზულ ამოცანებზე, რაც მთელ კოლმეურნეობასთან ერთად პარტორგანიზაციის წინაშე დგას. პარტორგანიზაცია თავის რიგებში საკავშირო კ. პ. (ბ) 18 წევრსა და 1 კანდიდატს ითვლის. ეს დიდი ძალაა. პარტიის სტალინირის რაიკომმა კონკრეტული დახმარება უნდა აღმოუჩინოს გოიათკაუს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციას, ამ ძალების სწორად გამოყენების საქმეში.

ვ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ემზადებიან ა. პუშკინის ღლეებისათვის

ფიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში ემზადებიან დიდი რუსი მწერლის ა. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისათვის. შექმნილია იუბილეს ჩამტარებელი საქალაქო კომისია. მაღაროებში ეწყობა „ლექცია-მოხსენებანი შემოქმ. თემებზე: „პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება“, „პუშკინი საქართველოში“ და სხვ. კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფი ახალგაზრდებისათვის საწარმოებსა და სკოლებში აწყობს მოხსენებებს ა. პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ქალაქის ბიბლიოთეკებში ეწყობა ა. პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა. სახელმწიფო თეატრის კოლექტივი ა. პუშკინის დღეებისათვის ამზადებს მხატვრულ განყოფილებას.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საკურორტო სეზონს

★ ★ ★ ★ ★

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის კურორტები სეზონის წინ

თბილისი მდიდარია მაღალღებიანი ძვირფასი თბილი გოგირდიანი წყლებით, კურორტებით და სააგარაკო ადგილებით. კოჯორი, მანგლისი, წყნეთი, კაკეთი, ბეთანია, თთაწმინდა, ოქრიყანა, კრწანისი და სხვა ადგილები თბილისის მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის ფართო სამკურნალო და პროფილაქტიკური დახმარების დიდ შესაძლებლობას ქმნიან. ქალაქიდან 10-15 წუთში შეიძლება ავიდეთ 900-1.200 მეტრის სიმაღლეზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა დასვენების მოწყობისათვის საშუშოდან თავისუფალ დროს, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ დღეებში.

თბილისის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ საგარეუბნო კურორტებს. სტალინური ხუთწლედების მანძილზე აქ გრანდიოზული საკურორტო და საგარაკო შენებლობა ჩატარდა, გაიხსნა მთელი რიგი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი. ამ ბუნებრივ სიმდიდრეს მომავალში უფრო დიდი ყურადღება მიექცევა.

თბილისის კურორტებსა და სააგარაკო ადგილებში ყოველწლიურად მრავალი ათასი მშრომელი ისვენებს. კურორტებზე არსებულ 9 სანატორიუმსა და კერძო ბინებში გასულ წელს 12 ათასამდე კაცმა დაისვენა. წელს თბილისის კურორტები და სააგარაკო ადგილები გაცილებით მეტ დამსვენებელს მიიღებენ. როგორც გასულ წლებში, ისე მომდინარე წელს დიდი მასშტაბით მოეწყობა ბავშვთა ბანაკები.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე თქვა: „საჭიროა ყოველწლიურად დიდი მასშტაბით დაგეგმოთ და განვახორციელოთ საგარეუბნო კურორტების კოჯორის, კიკეთის, მანგლისის, წყნეთის შენებლობისა და კეთილმოწყობის სამუშაოები“.

ამ მითითების განხორციელებისათვის სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. მთავარი ყურადღება მიექცა სანატორიუმების ელექტროგაყვანილობის, წყალსადენის აღდგენისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოებს. ამ საქმისათვის წელს უნდა დაიხარჯოს 1 მილიონ 600 ათასი მანეთი. იანვარ-თებერვლიდან ფართოდ გაჩაღდა მოსამზადებელი სამუშაოები. დამზადებულია და ადგილზე მიტანილია საჭირო ხე-ტყის მასალა, ძირითადად დამთავრებულია სადურგლო სამუშაოები. წესრიგზე მოყვანილია პარკები, სკვერები და ბეები. დარგულია 400-ზე მეტი ძირი წიწვიანი მცენარე, შემოკავებულია კურორტები და სანატორიუმები, უკეთესი პირობებია შექმნილი სანატარულ-ჰიგიენური მომსახურებისათვის.

თბილისის საგარეუბნო კურორტების ელექტროენერგიით მომარაგება ერთ-ერთ ვიწრო ადგილად ითვლებოდა. ამ მხრივ წელს ერთგვარი მუშაობა ჩატარდა. დამთავრებულია წყნეთში ელექტრობაზის გაყვანა. მიღებულია ზომები და ახლო ხანში მდგომარეობა გამოსწორდება აგრეთვე კოჯორში, კიკეთსა და მანგლისში.

კურორტების წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლადაც წელს თვალსაჩინო მუშაობა ჩატარდა. მანგლისში 3 კილომეტრის მანძილზე გამოყვანილია წყალსადენი, გათვალისწინებულია გოხნარის წყაროების გამოყვანა, რაც მთლიანად დაკმაყოფილებს კურორტს. დამთავრდა წყნეთში, კოჯორსა და კიკეთში წყალსადენების გამოყვანის დაგეგმვა. წელსვე დაიწყება წყნეთის წყალსადენის გაყვანის სამუშაოები.

თბილისის საგარეუბნო კურორტების სასურსათო პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით უზრუნველყოფისათვის სერიოზულ მუშაობას ეწევიან კურორტვაჭრობა და ცეკავშირი, გაუმჯობესდება კულტურული მომსახურება, ყველა კურორტზე შეუფერხებლად იქლის საავტომობილო ტრანსპორტი.

დიდი პერსპექტივები აქვთ თბილისს საგარეუბნო კურორტებს. მიმდინარეობს კურორტების გენერალური დაგეგმვა, რაც პირველ რიგში ითვალისწინებს გზების გაყვანას, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების შენებლობას, ბათი მეურნეობის აღდგენას და კეთილმოწყობას. ახლო ხანში თბილისის საგარეუბნო კურორტები დედაქალაქის მშრომელთა საუკეთესო დასასვენებელ ადგილად გადაქცეიან.

ი. მაისურაძე
თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საკურორტო სამმართველოს უფროსი

აჭარის კურორტების კეთილმოწყობა

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აჭარის კურორტების კეთილმოწყობა და სეზონისათვის მზადება. ამჟამად გაჩაღებულია სანატორიუმებისა და პარკების რემონტი.

წელს მარტო საკურორტო სამმართველოს ხაზით კურორტების რემონტსა და კეთილმოწყობაზე სულ ცოტა 1.530 ათასი მანეთი დაიხარჯება. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ საქმისათვის განკუთვნილი 200 ათასი მანეთი მთლიანად ათვისებულია.

მარტო კურორტ ქობულეთის კეთილმოწყობასა და ნაგებობათა შეკეთებაზე დაიხარჯება 918 ათასი მანეთი, ხოლო მახინჯაურის ჯგუფის კურორტების გაფართოებასა და კეთილმოწყობაზე 390 ათასი მანეთი. კურორტ მახინჯაურის ცენტრში წელს მოეწყობა 2 ჰექტარი ახალი პარკი, აიგება საკურორტო სამმართველოს სახლი და სხვ. ფართოვდება სავაჭრო ქსელი „კურორტვაჭრობის“ ხაზით, მოეწყობა ახალი სასეიფეები და კიოსკები.

მომდინარე წლის პირველ იანვარს ქობულეთში გაიხსნება დედათა და ბავშვთა 50-საწოლიანი სანატორიუმი. 50 საწოლით ფართოვდება აგრეთვე ქობულეთის კლინიკური სანატორიუმი, რომელშიც დაიდგმება ახალი სამკურნალო აპარატები, მათ შორის უახლესი კონსტრუქციის უნივერსალური რენტგენის აპარატი. წელსვე დაიწყება მუშაობა ქობულეთის საკურორტო ზონისათვის არქიტექტურულად გაფორმებული კაპიტალური გალავნის გასაკეთებლად, რომლის სიგრძე 5 კილომეტრზე მეტი იქნება. უახლოეს დღეებში დაიწყება კურორტის მთლიანი ტელეფონიზაცია, რისთვისაც დაიდგმება ცალკე სატელეფონო ქსელსადგური 100 ნომრისათვის.

შეკეთდება და უფრო კეთილმოწყობილი გახდება თვით ქ. ბათუმის საკურორტო დაწესებულებები, რომლებზეც 180 ათასი მანეთი დაიხარჯება. ბათუმის თბილი საზღვაო აბაზანების შენობაში მოეწყობა დასასვენებელი ოთახი.

ახალი სეზონისათვის მთლიანად რადიოფიცირებული იქნება კურორტები მახინჯაური და ქობულეთი. ამ მიზნით ქობულეთში დაიდგმება 500 რადიოსატრანსლაციო წერტი, ხოლო მახინჯაურში 100. წელს გაუმჯობესებული იქნება დამსვენებელთა კულტურული მომსახურება, სანატორიუმების კლუბებსა და კინოთეატრებში მოეწყობა კინოსურათების დემონსტრაცია და თეატრისა და ესტრადის მსახიობთა კონცერტები.

დ. პაიჭაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ჯავაში

დიდი ლაბეგის მარჯვენა ნაპირზე ზღვის დონიდან ათას ასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს კურორტი ჯავა. მთეს გალავანი შეუკრავთ კურორტის გარშემო და მას მძლავრი ქარისაგან იფარავენ, მხოლოდ საამო ნიავი ქრის კურორტის მიდამოებში.

უფრო და უფრო პოპულარული ხდება კურორტი ჯავა. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ კურორტიდან ორასიოდე მეტრს დაშორებით მოჩუხჩუხებს სამკურნალო წყალი „ძაე-სუთარი“. ეს წყალიც ჩაყენებულია მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში.

ჯავაში გაჩაღებულია მზადება საკურორტო სეზონისათვის. სამსართულიან შენობას უკეთდება კაპიტალური რემონტი, სასადილოს სჭირდება რეკონსტრუქცია, მთელი რიგი ღონისძიებანი ტარდება კურორტის ტერიტორიის გასამწვანებლად, მოასფალტდება სანატორიუმისაკენ მიმავალი გზა და სხვ. ყველა ამ სამუშაოს შესასრულებლად გათვალისწინებულია დაიხარჯოს ოთხასი ათასი მანეთი. კურორტის ხელმძღვანელობამ ყოველგვარი ზომებიც უნდა მიიღოს იმისათვის, რომ სეზონის გახსნამდე ყველა გათვალისწინებული სამუშაო წარმატებით შესასრულოს.

კურორტ ჯავაში დასასვენებლად ჩამოვლენ ადამიანები ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან. მათი წესიერი და კულტურული დასვენებისათვის უნდა შეიქმნას ყოველგვარი პირობები. **(საკ. კორ.).**



კურორტ ჯავის სანატორიუმი.

ფოტო ვ. უბოვენკოსი

ბახმაროზე

ბახმაროს ალპური და ზღვის შეზავებული ჰავის შესახებ უკვე არსებობს ძველ რიგ მეცნიერულ დაკვირვებათა მასალები, რომლებმაც ცხადყვეს, რომ აქ წარმატებით შეიძლება ტუბერკულოზის, ბრონქიული, ლიმფატური ჯირკვლების დაავადების, პერიტონიტების, პლევრიტების, მალარიის მკურნალობა.

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ასეთი მნიშვნელოვანი კერის გამოყენებასა და განვითარებას დიდად აფერხებდა უგზოობა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ დიდი ყურადღება მიაქციეს ჩოხატაურ-ბახმაროს გზის მშენებლობას. ამ საქმეს პრაქტიკულად ჩაუდგნენ სათავეში ჩოხატაურის, ბახმაროისა და ლანჩხუთის რაიონების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. აღნიშნული რაიონების მშრომელთა ენერგიული მუშაობის შედეგად 53 კილომეტრის მანძილზე ძირითადად დამთავრებულია კარგი საავტომობილო გზის გაყვანა, რაც კურორტ ბახმაროს შემდგომ ზრდასა და წინსვლას ხელს შეუწყობს. ბახმაროზე 1946 წლის სეზონში დამსვენებელთა რიცხვი 11.000 კაცს აღწევდა, 1947 წელს — 12.000-ს, ხოლო 1948 წელს—15 ათასზე მეტ კაცს შეადგენდა.

კურორტ ბახმაროს დირექციამ სერიოზული მუშაობა გასწია კურორტის კეთილმოსაწყობად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიდი მნიშვნელობის კურორტი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მრავალრიცხოვან დამსვენებელთა მოთხოვნილებას. კერძოდ, სუსტად არის დაყენებული დამსვენებელთა კულტურული მომსახურება, არა გვაქვს კლუბი, ბიბლიოთეკა ღარიბია წიგნებით.

1949 წელს კურორტ ბახმაროზე მშენებლობისა და კეთილმოწყობის ხაზით გათვალისწინებულია ახალი ელსადგურის აგება, რომლის დამთავრება გადაწყვეტს კურორტის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საქმეს. აგებულ იქნება ახალი რადიოკვანძი 500 ვატის სიმძლავრისა, ხეზონისათვის დამთავრდება კოტეჯის სისტემის 3 სახლის მშენებლობა, აიგება ეტლრადა, შეკეთდება საკურორტო გზები, წყალსადენი და ჩატარდება სხვა სამუშაოები.

კურორტ ბახმაროს დირექცია დროზე შეუდგა სეზონისათვის მზადებას, მოიმარაგა საშენი მასალები, ინვენტარი და გაიარა მუშაობა. ჩოხატაურის სამოხმარებლო კოოპერაციამ შექმნა ბაზები კურორტის მომარაგების უზრუნველყოფად.

კურორტი, რომელიც მცირე ხნის მანძილზე ატარებს რამდენიმე ათას დამსვენებელს, მეტ ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარი სამმართველოსაგან. ჩვენ დიდი მუშაობის გაწევა მოგვიხდება, რათა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ეს შესანიშნავი კერა ყოველმხრივ კეთილმოწყობილ კურორტად გადავაქციოთ.

ფარნა მახარაძე
კურორტ ბახმაროს დირექტორი

ყურადღება ნუნისს

აგარაკი ნუნისი მდებარეობს ორჯონიკიძის (ყოფილი ხარაგოულის) რაიონში, სადგურ მოლითიდან 7-8 კილომეტრის დაშორებით.

ნუნისი ცნობილია თავისი სამკურნალო წყლებით. ამ წყლებით წარმატებით შეიძლება ისეთ მძიმე დაავადებათა მკურნალობა, როგორიც არის ეგზემა, ფსორიაზი და სხვ. ეგზემას „საერთოდ სისველე (წყალი) არ უყვარს, მაგრამ ნუნისის წყლების ძვირფასი თვისება სწორედ ის არის, რომ იგი არათუ ვნებს, არამედ ფრიად დადებით გავლენას ახდენს ეგზემის მეტად მძიმე, გართულებული ფორმების მიმართაც კი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ იგი ერთადერთ იმვიათ წყალს წარმოადგენს.

აქ მრავალი ისეთი ავადმყოფი განკურნებულა, რომელთაც მკურნალობის დღემდე ცნობილი ყველა მეთოდი გამოუყენებიათ, მაგრამ უშედეგოდ. ეგზემის გარდა, ნუნისში წარმატებით შეიძლება ვუეკმიოთ ფსორიაზს, რომელიც მეტად ძნელი დაავადებაა, ქავანას, პელაგრას, ფურუნკულოზს, ნევროდერმიტებს. განსაკუთრებით მძლავრია ნუნისის წყლების მოქმედება კანის იმ დაავადებათა წინააღმდეგ, რომელთაც ნერვიული ეთიოლოგია აქვთ.

სამკურნალო წყლების გარდა, ნუნისს მეორე მძლავრი ფაქტორიც აქვს. იგი მოთავსებულია ლამაზ ხეობაში, შემოსილია წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეებით, მეტად მდიდარია მსუბუქი და სასიამოვნო მთის და ტყის შეზავებული ზედმიწევნით სუფთა ჰაერით. სეზონის თვეებში აქ ტემპერატურა+17,5-20 გრადუსია.

ნუნისის წყლებით მკურნალობა წლის ყოველ დროს შეიძლება, მაგრამ ზამთრის პერიოდისათვის იგი ჯერ კიდევ კეთილშოწყობილი არ არის.

აგარაკზე ამჟამად აშენებულია სამი შენობა, ამბულატორია ორი ოთახით, 5 საცხოვრებელი ბინა 40 ოთახით, სამკითხველო და სასადილო.

მიუხედავად იმისა, რომ აგარაკი ჯეროვნად კეთილშოწყობილი არ არის, აქ ყოველწლიურად 2.000-ზე მეტი ავადმყოფი და დამსვენებელი მოდის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ბევრი ძმიმე ავადმყოფი განკურნებული და მადლიერი ბრუნდება.

იმ მიზნით, რომ ნუნისის წყლები გამოყენებულ იქნას ავადმყოფთა ფართო კონტინგენტის სამკურნალოდ და აგრეთვე მშრომელთა დასასვენებლად, აუცილებელია აგარაკის საფუძვლიანი კეთილმოწყობა. საჭიროა აგრეთვე ავტორიტეტული კლინიკური დაკვირვების წარმოება აქაური წყლების მოქმედებაზე.

ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აგარაკი გადაეა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა სამმართველოს და კურორტოლოგიის ინსტიტუტის გამგებლობაში და იმუშავებს მათი კონტროლით.

გადავაქციოთ ნუნისი რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად!

ექიმი ი. კიკვაძე
ორჯონიკიძის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე

გაიხსნა საკურორტო სეზონი აფხაზეთში

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის კურორტებზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მასობრივად ჩამოვიდნენ დამსვენებლები. ამჟამად ბევრი დამსვენებელი იმყოფება გაგრის, ახალი ათონის, გულრიფშისა და სოხუმის კურორტებზე. აფხაზეთის ასსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ისვენებს 1.150 კაცი. კურორტები მიმდინარე სეზონს, გასულ წელთან შედარებით, უკეთ მომზადებული შეხვდნენ. კაპიტალურად შეკეთდა და გაფართოვდა გაგრის სანატორიუმი „ეოეკკარა“ და ახალი ათონის № 3 სანატორიუმი. ახლა უფრო კეთილმოწყობილია სოხუმის დასასვენებელი სახლი „განთიადი“, გულრიფშის ლენინის სახელობის სანატორიუმი და სხვ.

ზღვაზე ბანაობის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით კაპიტალური შეკეთების შემდეგ გაიხსნა სოხუმის საზღვაო სამედიცინო პლაჟი. იგი მომსახურებას გაუწევს როგორც ჩამოსულთ, ისე ქალაქის მოსახლეობას. მობანავეთა უკეთ მომსახურების მიზნით ქალაქიდან პლაჟამდე სისტემატურად დადიან კატერები და ავტობუსები.

მიმდინარე სეზონში აფხაზეთის კურორტებზე დაისვენებს 40.000-მდე მშრომელი ე. ი. 25-30 პროცენტით მეტი, ვიდრე წარსულ.

ახალი ამოცანების წინაშე

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს და ყველა მშრომელს დიდი ამოცანები დაუსახა. ამ ამოცანების შესრულებას ენერგიულად შეუდგნენ ჩვენი რაიონის მშრომელებიც. ისინი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით წარმატებით იბრძვიან სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეებს უზვი მოსავლისათვის ბრძოლის კარგი გამოცდილება აქვთ. მათ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს 1947 და 1948 წლებში. 1947 წელს ცხაკაიას რაიონიდან სოფლის მეურნეობის 18 მოწინავე ადამიანს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, ხოლო საბჭოთა კავშირის ორდენები და მედლები 142 კაცს გადაეცა. 1948 წელს, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, სიმინდის საშუალო მოსავალი მაინც მივიღეთ.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავლის და კოლმეურნეთა შეძლებულობის ძმლავრი წყაროა ჩაის კულტურა. ამიტომაც ჩაის პლანტაციების სუფთა-ეთესოდ მოვლა-დამუშავება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ყურადღების ცენტრში დგას. შარშან მოიკრიფა და საბელმწიფოს ჩაბარდა 892,3 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რაც გეგმის 102,5 პროცენტს შეადგენს. თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმის შესრულებაში. წლიური გეგმა 126 პროცენტით იქნა განაღდებული, მაგრამ 1940 წლის დონეს მაინც ვერ მიეგაღწიეთ. ვადაზე ადრე და გადაჭარბებით არის შესრულებული მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა პირუტყვის ყველა სახის მიხედვით. აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია 100,4 პროცენტით,

კოლმეურნეობათა სამეურნეო-პოლიტიკური განმტკიცების მაჩვენებელია ისიც, რომ გაბუწყვეტლივ იზრდება ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება, განუყოფელი ფონდები, მტკიცდება შრომის დისციპლინა. სისტემატურად იზრდება ჩვენი რაიონის კოლმეურნეობათა სიმდიდრე, მაღლდება კოლმეურნეთა შეძლებულობა. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1940 წელს სულ 7.702.000 მანეთს შეადგენდა, ხოლო შარშან ფულადმა შემოსავალმა 16 მილიონ მანეთს მიაღწია.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში თქვა: „საკითხი ეხება არა იმას, რომ გავადიდოთ ამა თუ იმ სოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოება რამდენიმე ათეული პროცენტით, არამედ იმას, რომ 8-10 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანას მივეცეთ, მაგალითად, მზა ჩაი და ციტრუსები 4-5-ჯერ მეტი ვიდრე ამჟამად ვაძლევთ, გავადიდოთ ღვინის წარმოება ერთისამად, კონიაკისა—3-3,5-ჯერ, ხოლო თამბაქოს ნედლეულისა—1951 წლისათვის 30 პროცენტით და სხვა. ამასთან ერთად ჩვენ ამდენად უნდა გავადიდოთ მარცვლეულის მეურნეობა, რომ ძირითადად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება საკუთარი მარცვლეულით“.

ეს ჩვენ ბევრ რამეს გვავალებს. ამჟამად რაიონში სულ 1.379 ჰექტარი ჩაი გვაქვს, საიდანაც 135 ჰექტარი უკანასკნელ წლებშია გაშენებული. ყრილობის დადგენილების საფუძველზე ამოცანად ვისახავთ 1957 წლამდე გავაშენოთ 1.500 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია. ამრიგად, ჩვენს რაიონში ჩაის პლანტაციების საერთო ფართობი 1958 წლისათვის 2.879 ჰექტარს მიაღწევს. მნიშვნელოვნად გადიდდება ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა. გათვალისწინებულია 1958 წლისათვის მოიკრიფოს ექვსი ათასი ტონით მეტი პირველი და მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლი, ვიდრე ამჟამად იკრიფება.

ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება ჩაის ორი ახალი ფაბრიკის აგება. ერთი მთგანის შენებლობა 1951 წლისათვის დამთავრდება.

წელს 150 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია უნდა გაშენდეს, ხოლო ნიადაგი მომზადდეს ორასი ჰექტარისათვის. ამ სამუშაოთა შესრულება რაიონის კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს. ჩაის ბუჩქის მოვლა-დამუშავების სანიმუშოდ დაყენებით, მოწინავე აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად განხორციელებით წელს ცხაკაიელები სახელმწიფოს მისცემენ სულ მცირე 1.170 ტონა პირველი და მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლს.

ამ ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობებში გაჩაღებულია მუშაობა. ჩაის პლანტაციებში საშემოდგომო-საზაფხოო სამუშაოები წელს წინა წლებზე გაცილებით უკეთესად ჩატარდა. თუ წინათ პლანტაციების საშემოდგომო-საზაფხოო დამუშავება უმთავრესად გამობარეს გზით და ისიც ხშირად დაბალი ხარისხით ხდებოდა, გასული წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში პლანტაციები დაბარულ იქნა აგრომენეკიური წესების ზუსტად დაცვით. დროულად და მაღალხარისხოვნად ჩავატარეთ პლანტაციების გასხვლა-გაფორმებისა და აზოტოვანი სასუქების შეტანის სამუშაოები.

უკვე დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბაროს 100 ტონა ჩაის ფოთოლი, კრეფის დაწყების პირველ ორ დღეს მოკრიფა 1.801 კილოგრამი პირველი ხარისხის ფოთოლი. ჩაის ფოთლის კრეფა ორგანიზებულად დაიწყეს აგრეთვე ზანის ბერიას, უშფათის სტალინისა და ორჯონიკიძის, ფოცხოს ბერიას და ხორშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობებმა.

საქართველოს ბოლშევიკთა XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ითვალისწინებენ ციტრუსოვანთა პლანტაციების გადიდებას. სხვა რაიონებთან ერთად, სადაც უფრო ინტენსიურად უნდა განვითარდეს ციტრუსოვანთა მეურნეობა, ჩვენი რაიონის წინაშეც მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული.

ციტრუსოვანი მეურნეობის განვითარებისათვის დიდი შესაძლებლობა აქვთ ხორშის, მენჯის, ცხაკაიას, შხეფის, ძველი სენაკის, ნოქალაქევისა და მთელი რიგი სხვა სოფლების კოლმეურნეობებს. გადაწყვეტილი გვაქვს 1955 წლის ბოლომდე გავაშენოთ სულ მცირე 500-550 ჰექტარი ახალი პლანტაცია. აქედან წელს უნდა გაშენდეს 115 ჰექტარი. წლის პირველ ნახევარში უკვე გაშენდა 44 ჰექტარი ლიმონი და ფორთოხალი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გადიდებას.

კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობათა საკარიდამო ნაკვეთებზე გაშენებულია 250 ჰექტარი ვენახი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფართობი ჩვენი რაიონისათვის ძალიან მცირეა, რადგანაც ჩვენში სამრეწველო მევენახეობის განვითარების კარგი პირობები არსებობს. შარშან გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა. კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება ყურძნის მოსავლიანობა. მაგალითად, სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 60 ცენტნერი, ხოლო სოფელ უშფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ—42 ცენტნერი ყურძენი. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ თუ რიგიანად დავაყენებთ ვენახების მოვლა-დამუშავებას, შეიძლება თვალსაჩინო წარმატებები მოვიპოვოთ სოფლის მეურნეობის ამ დარგშიც.

ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილების საკუთარი მარცვლეულით დაკმაყოფილების პასუხსაგები ამოცანის შესაბამისად, წელს სიმინდის მოსავლიანობის გეგმა ჩვენი რაიონისათვის მნიშვნელოვნად არის გადიდებული. დასახული გეგმის პირნათლად შესრულებისათვის საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა მჭიდროდ დარაზმონ კოლმეურნეთა ფართო მასები და ხელი შეუწყონ საკოლმეურნეო წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას. ჩვენი ამოცანაა უზრუნველვყოთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გეგმის შესრულება ამინდის ყოველგვარ პირობებში.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გვალვის შემთხვევაში მეტად კარგ შედეგებს იძლევა მორწყვა, რის შესაძლებლობაც რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს აქვთ. ჭარბი ნალექების შემთხვევაში საჭიროა წყალსაწრეტი თხრილების გაყვანა. წელს კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ ორჯერ მაინც ჩაატარონ სიმინდის დამატებითი გამოკვება წუნწუხით, სამჯერ გათოხნონ, მაქსიმალურად მოაწყონ ნათესების ხელოვნური დამტვერვა და რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოჰყონ უხვმოსავლიანი ფართობები.

ნიადაგის პირველი ხვნა დროულად დამთავრდა, უკვე მთავრდება მარცვლეული კულტურების თესვაც. ამ მხრივ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ახალსოფლის სტალინის, ბეთლეემის ბერიას, სოფელ უშფათის სტალინის, სოფელ ფოცხოს ორჯონიკიძისა და ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც მარცვლეული კულტურების თესვა 15 მაისისათვის დაამთავრეს. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავლიანობის გადიდების მიზნით რაიონის კოლმეურნეობებმა ათიოისეს 835 ჰექტარი ყამირი მიწა, ხოლო მინდვრად გაიტანეს 19.750 ტონა ნაკელი და 9.400 ტონა ფოსფორიტი.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საგაზაფხულო თესვის სამუშაოებში ჩამორჩენენ სოფელ ნოსირის, სოფელ ნოქალაქევისა და სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობები. მიღებულია ზომები ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

ჩვენი რაიონის მშრომელთა წინაშე განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას სუბტროპიკულ კულტურათა ახალი პლანტაციების გაშენების დარგში. გარდა 115 ჰექტარი ციტრუსებისა, წელს უნდა გავაშენოთ 150 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 393 ათასი ძირი ეკალიპტი, 70 ჰექტარი ხურმა, 16 ჰექტარი ტუნგო, 30 ჰექტარი დაფნა, 57 ჰექტარი ბამბუკი, 5 ჰექტარი გერანი და სხვ. ახალი პლანტაციების გაშენების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმები წარმატებით იქნა შესრულებული. ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად დავაამთაროთ ახალი პლანტაციების გაშენება და ამით მივაღწიოთ მათი გახარების მაქსიმალურ პროცენტს. ამასთან ერთად მიღებულია საჭირო ზომები უკანასკნელ წლებში გაშენებული პლანტაციების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ჩვენი რაიონის მშრომელები შეუდგნენ მზადებას სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დროსეულად შეხვედრისათვის. გურიანთელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად.

ცხაკაიის რაიონის კოლმეურნეები და ყველა მშრომელნი რაიონული პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელებენ სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტალინურ პროგრამას, იბრძოლებენ მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მისაღებად.

ვ. გუგუნავა
საქართველოს კ. პ. (ბ) ცხაკაიის რაიკომის მდივანი

საერთაშორისო მიმოხილვა

იზრდებიან მუშვიდობისა და დემოკრატიის ძალები

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა მშვიდობისა და დემოკრატიის თანმიმდევრული დაცვით უფრო და უფრო იმაღლებს ავტორიტეტს და მილიონობით უბრალო ადამიანის გულწრფელ სიყვარულს იმსახურებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალმაინო მოწოდებამ, რომელიც მიუთითებდა, რომ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხალხთა ძმური კავშირი მტაცეა მშვიდობის გარანტიაა, — ფართო გამოხმაურება პოვა ამ ქვეყნების მშრომელებში. განსაკუთრებით დიდ აქტიურობას იჩენენ ინგლისელი მუშები, რომლებიც ვერ ურიგდებიან ლეიბორისტული მთავრობის ავანტიერისტულ პოლიტიკას.

როგორ შეიძლება ინგლისელი უბრალო ადამიანები თავიანი მთავრობის მადლიერი იყვნენ, როდესაც ხედავენ, რომ ბევრი განაგრძობს ავანტიურისტული ჩერჩილის საგარეო პოლიტიკას. შემთხვევითი რიდი იყო, რომ, როდესაც თემთა პალატაში ჩრდილო ატლანტიკის პაქტს ამტკიცებდნენ, ლეიბორისტმა ზილიაკუსმა ბევრნის საგარეო პოლიტიკას „ფულტონიზმი“ უწოდა (ბუნდელობაში ჰკონდა ფულტონში წარმოთქმული ჩერჩილის სიტყვა).

დიდ დროს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის ხალხთა განწყობიერება გამოხატა 950 ათასმა ინგლისელმა შრომელმა ლენინგრადელი მუშებისათვის გაგზავნილ დეკლარაციაში. „ჩვენ გვწამს, — წერდნენ ისინი,—რომ მსოფლიოს ხალხებს — ინგლისელებს, საბჭოთა ადამიანებს, ამერიკელებსა და სხვებს—ომი არ სურთ. ჩვენ გვწამს აგრეთვე, რომ ომი შეიძლება აცილებულ იქნას და რომ საყოველთაო მშვიდობის საქმე მნიშვნელოვნად წაიწევს წინ, თუ გაუმჯობესდება ინგლის-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება და გამტკიცდება ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რასაც ჩვენ მთელ ძალღონეს მოვახმართ“.

12 მაისს ქალაქ გლაზგოში შოტლანდია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ მოაწყო დიდი მტინგი ლოზუნგით „სსრ კავშირთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და მშვიდობისათვის, სამართლიანობისა და მშვიდობისათვის ყველა ხალხთა შორის, რასიული კეთილნების მიუხედავად!“ მიტინგს 4.000 დელეგატი დაესწრო.

მიტინგზე შოტლანდია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარემ კემპბელმა განაცხადა: ჩვენ მტკიცედ გადაეწყვეტით არ დაეუშვათ ახალი ომი. უნდა ჩავშალოთ ომის გამჩაღებელთა ცდები, რომლებიც მიზნად ისახავენ მესამე მსოფლიო ომის პროვოკაციოდან მოწყობასო.

ზანგმა პოეტმა პოლ რობსონმა, რომელიც მშვიდობის მომხრეთა კონგრესში მონაწილეობის შემდეგ ინგლისში იყო, მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა და კოლონიურ ხალხთა ბრძოლა დაახასიათა როგორც ინგლისელ და სხვა ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ნაწილი.

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელითაც მიესალმება მშვიდობისმოყვარე ხალხებს, მოუწოდებს მთა მშვიდობისა, ურთიერთ შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ შოტლანდიელი ხალხს ცხოვრების დონის ამაღლება და კულტურული პროგრესი როგორც ახლა, ისე მომავალში მხოლოდ სსრ კავშირის ხალხთან მეგობრობისა და პრაქტიკული თანამშრომლობის საფუძველზე შეიძლება.

მიტინგზე საბჭოთა კავშირის საელჩოს წარმომადგენელს გადასცეს დეკლარაცია შოტლანდიის პროფკავშირთა 130 ათასი წევრის ხელმოწერით უარიანის სს რესპუბლიკის პროფკავშირთა წევრებისათვის გადასაცემად. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ შოტლანდიელ ხალხს შეენებული აქვს მთელ მსოფლიოსთან და პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი დამოკიდებულების მნიშვნელობა. „ჩვენ გადაწყვეტილ უარყოფთ იმ შეხედულებას, თითქოს სსრ კავშირს ან ჩვენს ხალხს ომი სურდეს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყველა მუშამ და ყველა ორგანიზაციამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს იმათ წინააღმდეგ, ვინც ქადაგებს დანაშაულებრივ თეორიას, რომ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აუცილებელი და გარდუვალია“.

შოტლანდიელი მუშები უკრაინელი მუშებისათვის გაგზავნილ დეკლარაციაში პირობას იძლევიან გაორკეცონ მშვიდობისათვის ბრძოლის ღონისძიებანი, განამტკიცონ საბჭოთა კავშირის ხალხთან ძმობა და მეგობრობა.

საბჭოთა კავშირის ხალხთან მეგობრობის ლოზუნგით მიტინგები იმართება ინგლისის მთელ რიგ ქალაქებში. ღონით დღე იზრდება მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგები. გლაზგოში შემდგარ მიტინგზე შოტლანდია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში 395 ახალი წევრი შეეიდა.

ინგლისის პროფკავშირული მოღვაწენი, რომლებიც საბჭოთა კავშირში იყვნენ და საბჭოთა ხალხის ცხოვრებას გაეცნენ, აღფრთოვანებულნი ბრუნდებიან სამშობლოში. მანჩესტერისა და სოლფორდის პროფკავშირის საბჭოს მდივანმა გორას ნიუბოულდმა, რომელიც სსრ კავშირის პროფკავშირთა X ყრილობას დაესწრო, ინგლისში დაბრუნებულმა შემდეგ თანამემამულეებს გაუცხადა: „საბჭოთა ხალხის მორალური ძალას ვერაფერი დაარღვევს. ყველაფერმა, რაც მე საბჭოთა კავშირში ვნახე და მოვისმინე, დამარწმუნა, რომ საბჭოთა ხალხს ღრმად ესმის შემოქმედებითი შრომის საჭიროება. საბჭოთა ხალხი მთელ ძალღონეს იხარჯავს კაცობრიობის ხსნის იმ ტანჯვისა და ნგრევისაგან, რასაც მას ახალი ომი მოუტანდა“.

ინგლისელ ხალხში თანდათან იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც რწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირის ფრონტი წარმატების ახსნა მის მოწინავე საზოგადოებრივ წყობაში უნდა ვეძიოთ, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა წარმომშობს გმირებს, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანებს. ქვეყანას, რომელსაც სამამულო ომის ფრონტისა და სოციალისტური შრომის ათასობით გმირი ჰყავს, ვერ დაამხრეინენ იარაღის დონკიხოტური ჩხარუნით. მას ომის არ ეშინია, რადგან ძალა შესწევს დამამშვიდებელი პერანგი ჩააცვას ის ბელადს, რომლებიც ახალ აკანტიურას წამოიწყებენ.

ყოველივე ამის შეგნება უფრო და უფრო აახლოებს ინგლისელ უბრალო ადამიანებს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ხალხთან.

სახალხო ფრონტის მოძრაობა გამარჯვება უნგრეთში

ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებმაც დაძლიეს მსოფლიო რეაქციის ძალების ფარული და აშკარა შემოტევა, თავი დაიდგეს შინაგან წინააღმდეგობებს და გადაჭრით დაადგნენ სოციალიზმის გზას.

სახალხო დემოკრატიის მორიგი გამარჯვება უნგრეთში აღინიშნა 15 მაისს, პარლამენტის არჩევნების დროს. უნგრელი ხალხის მტრებს კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ მოხდებოდა სასწაული და სახალხო ფრონტი არჩევნებში დამარცხდებოდა, მაგრამ არჩევნები საზეიმო ვითარებაში, ორგანიზებულად, უდიდესი წარმატებით ჩატარდა. ახლა ამას კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული გაზეთებიც ვეღარ უარყოფენ.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 5.730.519 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა 94.4 პროცენტმა. უნგრეთის დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტს ხმა მისცა ამომრჩეველთა 95,6 პროცენტმა, წინაადმდეგ — 2,8 პროცენტმა. ეს იყო სახალხო ფრონტის ბრწყინვალე გამარჯვება.

1945-1947 წლების არჩევნების დროს უნგრეთში ჯერ კიდევ ერთგვარი ბაზა ჰქონდათ რეაქციულ, ანტიკომუნისტურ, კლერიკალურ პარტიებს. 1947 წლის არჩევნები ჩატარდა სამწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის დაწყებით პერიოდში, როცა იმპერიალისტური სახელმწიფოები რესპუბლიკაში მოსყიდულ ჯალათებს გზავნიდნენ. მას შემდეგ ბევრი რამ მეცვალა.

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც უბრალო ხალხს შემოქმედებით შრომასა და ბრძოლას სათავეში უდგას მუშათა ორი პარტიის გაერთიანების შედეგად შექმნილი მშრომელთა პარტია მატიას რაკოშის ხელმძღვანელობით. მშვიდობიანი შრომის განვლილ პერიოდში უნგრელმა ხალხმა უდიდესი წარმატებები მოიპოვა. მიწის რეფორმა და მრეწველობის ნაციონალიზაცია საფუძვლად დაედო სახალხო მეურნეობის აღმავლობას. თუ ომის დამთავრებისას უკვარგისი იყო უნგრეთის რკინგზის ხაზის 50 პროცენტი და დანგრეული ფი 2.300 ხიდი, ახლა რკინგზის ხაზის სიგრძე ომამდელს აღემატება და 11 ათას კილომეტრს შეადგენს, აღდგენილია ხიდები, სატვირთო ვაგონთა რიცხვი 7 ათასიდან აყვანილია 35 ათასამდე. სამწლიანი გეგმით, რომელიც ვადაზე ადრე სრულდება, მშრომელთა საარსებო დონე ომამდელთან შედარებით ერთნახევარჯერ გადიდდება.

უკვე შემოქმედებულია სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც გრანდიოზულ ამოცანებს უსახავს რესპუბლიკის მშრომელებს. ამ გეგმით სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იქნება 35 მილიარდი ფორინტი, რაც ხუთჯერ აღემატება სამწლიანი გეგმის კაპიტალდაბანდებას. მუშები და გლეხები უფრო და უფრო შეგნებულად ირაზმებიან მშრომელთა პარტიის დროშის ქვეშ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამუალო გლეხობის შემბარენენა სახალხო დემოკრატიის მხარეზე, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მუშათა და გლეხთა კავშირს. როგორც რაკოში აღნიშნავდა, ხალხმა შეიგნო, რომ ძლიერი და მტკიცეა სახალხო ერთიანობა, რომელსაც სათავეში უდგას მშრომელთა პარტია.

არჩევნებმა ნათელყო სახალხო ფრონტის ძლიერება და ფართო მასების ერთგულება მშრომელთა პარტიისადმი. ქვეყნის საუკეთესო შვილებისათვის ხმის მიცემით მილიონობით უბრალო ადამიანმა მოიწონა პარტიის პოლიტიკა და ხუთწლიანი გეგმა.

უნგრელმა ხალხმა იცის, რომ მისი ხსნა დემოკრატიაშია. ეს შეგნება მას გზას უკაფავს სოციალიზმის მშენებლობაში ახალი მიღწევებისაკენ.

მოპოვებულ წარმატებებს უნგრეთის მშრომელები გულწრფელად უმადლიან მათ განმათავისუფლებელ მძლავრ საბჭოთა კავშირს, უნარელი ხალხის ბაკბარს დიდ სტალინს.

აკ. ჩავლეიშვილი

უნგრეთის რესპუბლიკის მთავრობის მადლობა

ბუდაპეშტი, 20 მაისი. (საკდესი). უნგრეთის მინისტროთა საბჭოს დილის სხდომაზე უნგრეთის მთავრობამ შეიღო გადაწყვეტილება — გადადგეს ეროვნული კრების არჩევნების დამთავრებასთან დაკავშირებით.

დღისით უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არპად საკაშიჩმა მიიღო პრემიერ-მინისტრი ფერენც დონი, რომელმაც ინფორმა მას მთავრობის გადაწყვეტილება. რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობის ახალ-ლდგენ შემადგენლობას ავალებს გაეძღვეს საქმეების ახალი მთავრობის შედგენამდე.

მერკულოვ პისლერის დაპატიმრების გამო

ნიუ-იორკი, 19 მაისი. (საკდესი). „სამოქალაქო უფლებათათვის ბრძოლის კონგრესმა“ პრესისათვის გაავრცელა, განცხადებაში დაგრძა ამერიკის სასამართლოს მიერ გერჰარდ ეისლერის შესახებ 17 მაისს გაცემული განკარგულება და განაცხადა, რომ ეს წარმოადგენს „ეინენინთ გაუმართლებელი პოლიტიკური დევნის ახალ ილუსტრაციას მაგალითს“. კონგრესმა გამოაცხადა, რომ იგი სასამართლოში აღძრავს საქმეს, რათა მიაღწიოს იმ განკარგულების ფორმულირების გადასინჯვას, რომელიც ეისლერის დაპატიმრების ორდერს წარმოადგენს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ, როგორც ადვოკატმა გამოარკვიეს, ორდერში არასწორად არის აღნიშნული, რომ ეისლერს ბრალად ედება „ყალბი ჩვენების მიცემა“. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ ეს გააკეთა იმის მისაღწევად, რომ ინგლისს ამერიკისათვის გადაეცა ეისლერი. განცხადებაში ნათქვამია, რომ, როგორც იუსტიციის სამინისტროსთვის არის ცნობილი, ეისლერისათვის ყოფნენენი ბრალდებანი არ შეესაბამებიან დანაშაულთა ერთიერთ გადაცემის შესახებ ინგლის-ამერიკის ხელშეკრულების მოთხოვნებს. ამიტომ საჭირო გახდა ორდერში ეხსართ გამოთქმა „ყალბი ჩვენების მიცემა“, ვინაიდან ყალბი ჩვენების მიცემას განიხილავენ როგორც დანაშაულ, რომლისთვისაც დანაშავე გადაცემულ უნდა იქნას.

„სამოქალაქო უფლებათათვის ბრძოლის კონგრესის“ ადვოკატებმა სასამართლოში წარადგინეს წერილობითი შეკითხვა, რომლითაც მოითხოვენ, რომ სასამართლოს მიერ გაცემული ორდერი შეესაბამებოდეს ეისლერისათვის წარდგენილი საბრალდებო აქტის ენას და რომ მოლოდ ოფიციალის სანინსტროს ცდას — აჩვენოს ინგლისის სასამართლოს, რომ ეისლერს ბრალად ედება ყალბი ჩვენების მიცემა, რაც შეშარატებას არ შეესაბამება. ამერიკისა და ამელი მსოფლიოს ხალხი სწორად შეიფასებს ჩვენი მთავრობის უკანასკნელ მოქმედებას, როგორც ტმაკიც ანტიფაშისტის პოლიტიკური დევნის ილუსტრაციას.

ჯრუბენის მიმართვა კონგრესისადმი საბერძნეთისა და თურქეთისათვის დამაგებითი სახლრების ასინგნების შესახებ

ვაშინგტონი, 20 მაისი. (საკდესი). პრეზიდენტმა ტრუმენმა თხოვნით მიმართა კონგრესს დამატებით 50 მილიონი დოლარი გადაღოს საბერძნეთისა და თურქეთისათვის „დახმარების“ გასაწევად მომდინარე საფინანსო წელს, რომელიც 30 ივნისს თავდება. აღნიშნა რა, რომ კონგრესმა უკვე გადადო 625 მილიონი დოლარი ამ ორი ქვეყნის დასახმარებლად, ტრუმენმა განაცხადა, რომ ამ დამატებითი სახლრებით ამოიწურება მთელი თანხა, რომელი ასიგნობაც ნებადართული კონგრესის მიერ.

მაქს რაიმანს კვლავ დაკაბიმრება მოელის

ბერლინი, 20 მაისი. (საკდესი). ადნის საგეტოს მიერ მანანს ფრანკფურტიდან გადმოცემული ცნობის თანახმად, ინგლისის სამხედრო ტრიბუნალთან ანხოთ მდგომ წრეებში იტყობენენ, რომ როგორც კი 23 მაისს „სპარლამენტარ საბჭოს“ სხდომის შემდეგ ადენაუერი ბონის „კონსტიტუციის“ მიღებას გამოაცხადებს, ბოლოდან ბერლინის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს დასაკეთან გერმანიაში მაქს. რაიმანს საპყრობილეში გაგზავნის, რათა მან მოიხადოს სამი თვის პატიმრობა, რაც რაიმანს ინგლისის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა.

ბერლინის საბჭოთა ოკუპაციის ზონაში

ბუდაპეშტი, 20 მაისი. (საკდესი). „ინტერფაქსი“ ინფორმაციას ავრცელებს ბერლინის საბჭოთა ოკუპაციის ზონაში ბერლინის ბანკებიდან ფულის ამოღებისა და ბანკნოტების ფასდაკლების ოპერაციის ჩატარებისა.

ბერლინის ბანკებიდან ფულის ამოღებისა ოპერაციის ჩატარებისა